ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი#2

31 მარტი 2020 წელი

ქ.ბაღდათი 10.00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: გურამი კიკნაველიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

გვანცა გრძელიძე
გურამ ჩხეიძე
გია სახამბერიძე
მაია კბილაშვილი
ტარიელ ჩაკვეტაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძე

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის ექსპერტ-კონსულტანტი - რამაზ მეფარიშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ლერი გუმბერიძე

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვისა და დამტკიცების შესახებ.

მომხს. ლერი გუმბერიძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1. კომისიის თავმჯდომარემ გურამი კიკნაველიძემ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა: ლერი გუმბერიძემ

კომისიის წევრი: მაია კბილაშვილმა განაცხადა,რომ ვინც ოფიციალურად დაუცველი ოჯახებია ის არ უნდა დარჩეს დახმარების გარეშე და საჭიროა შესაბამისად რეზერვის შექმნა დახმარების გასაწევად

კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ განაცხადა, რომ 30.000ლარის ფარგლებში მომზადდეს დახმარების გასაწევად პაკეტები და თუ დამატებას მოითხოვს დაუმატოთ და გავზარდოთ 50.000ლარამდე, აუცილებელია საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ მომზადდეს სოფლების მიხედვით 50ლარიანი პაკეტების შეძენა რაც გულისხმობს ამ თანხაში აუცილებელი კვების პროდუქტების მიწოდებას

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძემ უპასუხა გურამი კიკნაველიძეს, რომ ჩვენ შეგვიძლია დახმარების გაწევა გაჭირვებული ოჯახებისათვის და ამ მხრივ მაქსიმუმს გავაკეთებთ

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. წარმოდგენილი საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. წარმოდგენილი საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე:6 **წინააღმდეგი:0**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი2. კომისიის თავმჯდომარემ გურამი კიკნაველიძემ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვისა და დამტკიცების შესახებ. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა: ლერი გუმბერიძემ

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის ექსპერტ-კონსულტანტი - რამაზ მეფარიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა დაუსრულებელ პროექტებზე

კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ კითხვით მიმართა ლერი გუმბერიძეს ბონუს პროექტებით რისი გაკეთება იგეგმება

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძემ უპასუხა გურამი კიკნაველიძეს, რომ ბონუს პროექტებით გაკეთდება ქალაქის ქუჩები ეს გარდამავალი პროექტებია

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვისა და დამტკიცების შესახებ. წარმოდგენილი საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვისა და დამტკიცების შესახებ. წარმოდგენილი საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე:6 **წინააღმდეგი:0**

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხი ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძე